აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №17

06 სექტემბერი 2016 წელი **ქ. ბათუმი**
12^{00} საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჟავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტის და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. **განკარგულება**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ;

2. **განკარგულება**
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

3. **სხვადასხვა.**

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე	13;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ;

2. განკარგულება

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 05 სექტემბერს N13 დადგენილების თანახმად, („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“) საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მიენიჭათ რიგითი ნომრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მიენიჭებათ იგივე რიგითი ნომრები, ხოლო იმ საარჩევნო სუბიექტებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში, ასევე საქართველოს პარლამენტის არჩევნებში გაერთიანებული არიან საარჩევნო ბლოკში და უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობენ დამოუკიდებლად რიგითი ნომრების მინიჭების მიზნით უმაღლესი საარჩევნო კომისიაში

უნდა გაიმართოს წილისყრა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე აღნიშნა, რომ წილისყრა უნდა ჩატარდეს მხოლოდ ორ საარჩევნო სუბიექტს შორის - ესენია: „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“ და „მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს“.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

საარჩევნო სუბიექტებისათვის, რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით, წილისყრის პროცედურა ჩატარდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით. საარჩევნო სუბიექტებმა წილისყრაში მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად.

წილისყრით საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვრათ შემდეგი რიგითი ნომრები:

N31 „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;
N32 „მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს“.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი განკარგულების პროექტში წილისყრით გამოვლენილი სუბიექტების დამატების მიზნით კომისიას შესთავაზა სხდომაზე შესვენების გამოცხადება.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სხდომაზე შესვენების გამოცხადების შესახებ. კომისიის სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 12:20 სთ-დან - 10 წუთით.

კომისიის სხდომა განახლდა 12:30 საათზე.

სხდომაზე წარმოდგენილი იქნა განკარგულების პროექტის სრული ვერსია.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ. საარჩევნო სუბიექტთათვის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ცესკოს და უსკოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და სხდომაზე წილისყრით განსაზღვრული რიგითი ნომრების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 12;
წინააღმდეგი 1;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 119-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 45-ე მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 5 სექტემბრის №13 დადგენილების და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 2 სექტემბრის №395 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

№1 - საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“;
№3 - საარჩევნო ბლოკი „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“;
№5 - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
№6 - „უსუფაშვილი - რესპუბლიკელები“;
№7 - „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“;
№8 - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“,
№9 - „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“;
№10 - „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
№11 - „სახალხო ხელისუფლება“;
№14 - „დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის“;
№16 - „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“
№17 - „საქართველო“;

№19 - საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“;
№23 - საარჩევნო ბლოკი „ჩვენები - სახალხო პარტია“;
№25 - „კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი“;
№26 - „ეროვნული ფორუმი“;
№27 - „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“;
№31 - „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო;“
№32 - „მურმან დუმბაძე - მედეა ვასაძე - ემსახურე საქართველოს;“
№41 - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანი დაინტერესდა, შესაძლებელი თუ არის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისათვის განკარგულების პროექტით განსაზღვრული ერთჯერადად გასაცემი თანხის ოდენობის გაზრდა.

პარმენ ჯალაღონიამ განმარტა, რომ უსკო უფლებამოსილია კანონის შესაბამისად გასცეს ნებისმიერი თანხა „2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს მორიგი არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ხელფასების განსაზღვრის შესახებ“ ცესკოს 2016

წლის 25 აგვისტოს N373 განკარგულებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს არა უმეტეს 100%-ის ოდენობით, თუმცა არსებული ბიუჯეტი უსკოს არ აძლევს ამის საშუალებას.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დანამატის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირებისათვის ერთჯერადად გასაცემი დანამატის ოდენობა განისაზღვროს, „2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ხელფასების განსაზღვრის შესახებ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 25 აგვისტოს №373/2016 განკარგულებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოების 50%-ის ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკურ სამსახურს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის
ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **სოფიო კახაძე**